ემზარ ფაჟავა
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სტატია ქვეყნდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „საქართველოს ევროპული ორიენტაციის გენეზისი“ ფარგლებში (საგრანტო ხელშეკრულება № YS-18-200)

ნაშრომში წარმოდგენილი მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლებელია არ ემთხვეოდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

საქართველოს ევროპული ორიენტაციის სათავეებთან

მიუხედავად მრავალი დაბრკოლების და ხანდახან წყვეტილობისა, საქართველოს ევროპულ სამყაროსთან მუდმივი კულტურული, რელიგიური, სამხედრო, დიპლომატიური, პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები ჰქონდა, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა ევროპული ღირებულებებისადმი საქართველოს დამოკიდებულება და გადამწყვეტი როლი ითამაშა ქვეყნის ევროპულ ორიენტაციაზე. ამიტომაც დასავლურ სამყაროსთან ისტორიული ურთიერთობის შესწავლასა და ახლებურ გააზრებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართული სახელმწიფოს მომავლისთვის. ვინაიდან ეს ძველი ურთიერთობები ახლის წინაშე შიშით დამოკიდებულებას ანელებენ.

საქართველოს ევროპული ორიენტაციის გენეზისის პროცესის მრავალმხრივი კვლევა იმავდროულად საშუალებას მოგვცემს, გამოვავლინოთ ევროპული და დასავლური კულტურის გავლენა და ურთიერთობა ქართულ კულტურასთან, ევროპის როლი ქართული კულტურის ჩამოყალიბებაში. დავადგინოთ თუ როგორი იყო ქართულ-ევროპული თანაარსებობის ტრადიცია საუკუნეების განმავლობაში, რა ურთიერთობები არსებობდა მათ შორის და როგორ აისახა იგი ქვეყნის იდენტურობაზე, საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციაზე.

ისტორიულად, საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი ქართული სახელმწიფოს არსებობის ქვაკუთხედს წარ-

მოადგენს. რაც შეეხება თავად ქვეყნის ევროპული ორიანტაციის თემას, მოყოლებული უძველესი დროიდან დღემდე, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ამდენად, საქართველოს ევროპული ორიენტაცია არ დაწყებულა დღეს. მას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. სწორედ საქართველოს ევროპულ სამყაროსთან მუდმივმა კულტურულმა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კავშირებმა (თუ არ ჩავთვლით წყვეტილ პერიოდს, რომელმაც დიდი დაღი დაასვა ქვეყნის შემდგომ განვითარებას) განსაზღვრა ევროპული ღირებულებებისადმი საქართველოს დამოკიდებულება და გადამწყვეტი როლი ითამაშა საქართველოს ევროპულ ორიენტაციაზე.

ამიტომაც, საქართველოს ევროპული ორიენტაციის გენეზისის პროცესის კვლევა საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს, ვინაიდან საქართველოს დასავლურ სამყაროსთან ისტორიული ურთიერთობის შესწავლასა და ახლებურ გააზრებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის. ეს კი შემოთავაზებული თემის აქტუალობას ერთიორად ზრდის. ამას ემატება ისიც, რომ საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რამაც ქვეყნის ორიენტაციის საკითხი მკაფიოდ გამოკვეთა და პოლიტიკური და კულტურული არჩევანიც საბოლოოდ განსაზღვრა.

როგორც ცნობილია, ზოგადად ქვეყნის განვითარების ვექტორს განსაზღვრავს მრავალი ფაქტორი, მათ შორის კულტურული, ისტორიული და გეოპოლიტიკური.

დღეს კი, ისტორიული განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ქვეყნის ოკუპაციისა და ანექსიის პირობებში, საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი უნდა იყოს ევროპა და მას სხვა სხვა ალტერნატივა არ გააჩნია. ამიტომაც, საქართველოში ევროპულ ორიენტაციას, როგორც უმნიშვნელოვანესი საგარეო პოლიტიკური ვექტორის შესახებ მოსაზრებას ლეგიტიმაცია სჭირდება.

აქედან გამომდინარე, საქართველოს ორიენტაციის კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის განვითარებისთვის, და ახალ რეალობას ქმნის მისი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სივრცის ძირეული რეკონფიგურაციისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო-ევროპის ურთიერთობებზე არა ერთი ნაშრომი იწერება, დღემდე საქართველოს ევროპული ორიენტაციის გენეზისის თემაზე განმაზოგადებელი ხასიათის ნაშრომი

არ შექმნილა. აქამდე საქართველო-ევროპის ურთიერთობები, ორ ქვეყანას შორის ანდა საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების ისტორიული ურთიერთობების ჭრილში განიხილებოდა.

ამიტომაც, საქართველოს ევროპული ორიენტაციის გენეზისისა და მისი ევოლუციის შესწავლა საინტერესო სიახლე იქნება ქართული ისტორიოგრაფიისთვის. აღნიშნული საკითხების კვლევისას ყურადღება მიექცევა ისტორიულ, გეოგრაფიულ, კულტურულ და პოლიტიკურ ურთიერთობებს. განზოგადდება საქართველოს ევროპული ორიენტაციის გენეზისი, მისი როლი ქვეყნის განვითარების საქმეში, ქართული იდენტურობის ჩამოყალიბება და მისი ევროპულთან მსგავსება. წარმოდგენილი საკითხის კვლევისთვის განისაზღვრება თუ რას ნიშნავს სიტყვა ევროპა და ევროპული იდენტობა, როდის შემოდის მიმოქცევაში აღნიშნული სიტყვა, რა გეოგრაფიულ არეალს მოიცავს ის.

რაც შეეხება სიტყვას „ევროპა", ზოგიერთი ავტორის აზრით, (ბერძნული „ეურუსი" (ευρύς) ნიშნავს „ფართოს"; ზოგიერთის აზრით კი ის წარმოდგება აქადური სიტყვისგან „ერიბ"/„ერებუ", რაც ნიშნავს ჩასვლას ანუ ქვეყანა სადაც მზე ჩადის (დასავლეთი), განსხვავებით აზიისგან – „ასუ"/„აკუ" ნიშნავს ამოსვლას ანუ ამომავალი მზის ქვეყანას [1]. ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით ევროპას სახელი აზიის საწინააღმდეგოდ დაერქვა.

ისე, ზოგადად, ევროპა ბერძნული Eurōpē სიტყვისგან მომდინარეობს და დასავლეთს ნიშნავს.

ზოგიერთი ავტორის აზრით ეს ტერმინი დაკავშირებულია ქალაქთან, რომლის სახელიც არის ევროპა და რომელიც მდებარეობს მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

სახელი ევროპა პირველად ნახსენებია **ჰომეროსის** ილიადაში, რომლის მიხედვით „ფინიკიელი მეფის ფენიქსის ასული ევროპა მოიტაცა ზევსმა, მიიღო რა ხარის ფორმა და წაიყვანა კრეტაში [2, 56].

ამავეს იმეორებს **ჰეროდოტეც** და ამბობს ევროპე იყო ფინიკიელი მეფის ასული, რომელიც ბერძნებმა მოიტაცეს და კუნძულ კრეტაზე მიიყვანეს [3, 12]. როგორც ჩანს ამ ისტორიას სფუძვლად უდევს სხვადასხვა მითი. ერთ-ერთი ვერსიით ეს არის ძველხეთური თქმულება აქაველების მიერ მცირე აზიის ქალღვთაების მოტაცების შესახებ, რომელიც XII საუკუნეს ეკუთვნის. ხოლო მეორე ვერსია ბერძნულია, რომელსაც ჰომეროსი იყენებს. ჰეროდოტეს ვარაუდით კი, შესაძლებელია, აგენორას ქალიშვილმა დაარქვა ევროპას ეს სახელი [4, 198].

როგორც ვხედვთ, სიტყვის „ევროპა“ ეტიმოლოგია არაერთგვაროვანია და ამ სიტყვის წარმომავლობის შესახებ მეცნიერებაში ერთიანი აზრი არ არსებობს. თუმცა, სავარაუდოა, რომ სიტყვა ევროპა მაინც საკუთარი სახელიდან მომდინარეობს. ევროპა, როგორც გეოგრაფიული ტერმინი პირველად იხსენიება **ჰესიოდესთან** ჩვ. წ-აღ-მდე VIII საუკუნეში. პოემაში „აპოლონ პითიელი“ ჰესიოდე ახსენებს ხალხს, რომლებიც ცხოვრობენ პელოპონესსა და ევროპაში, რომელსაც ის კონტინენტური საბერძნეთის პატარა ნაწილად განიხილავს.

ძველმა ბერძენმა გეოგრაფმა **ჰეკატე მილეტელმა,** თავის ნაშრომში „დედამიწის ირგვლივ“, პირველმა დაყო დედამიწა ორ ნაწილად – აზია და ევროპა.

როგორც ჩანს, ძველ წყაროებში საკმაო ინფორმაცია მოიპოვება ევროპის შესახებ. იონელები (ძვ. ბერძნული Ἴωνες, Ἴωνες – ერთ-ერთი ძველბერძნული ტომი) ამტკიცებენ, რომ მსოფლიო სამი ნაწილისგან შედგება – ევროპა, აზია და ლიბია... [3, 12] – წერდა ჰეროდოტე, არ ეთანხმებოდა ამ ვერსიას და ამბობდა, რომ მას უნდა დაემატოს ეგვიპტე.

ჰეროდოტე თავის „ისტორიაში“ ხშირად ახსენებს ევროპის გეოგრაფიულ საზღვრებს: ერთგან ის ამბობს: მდინარე ისტრი (ბერძ. Ἴστρος), (დუნაი) იწყება კელტების ქვეყანაში... და კვეთს ევროპას [4, 90].

საინტერესოა ასევე **ჰეროდოტეს** ცნობა ევროპესა და მისი შვილების შესახებ „როდესაც კრეტაზე ევროპეს შვილები სარპედონი და მინოსი ძალაუფლებისთვის ნაიჩხუბნენ, გაიმარჯვა მინოსმა და სარპედონი განდევნა თავის მომხრეებთან ერთად“ [4, 65].

აკრავს თუ არა ევროპას ზღვა აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ზუსტად არავინ იცის... წერს ჰეროდოტე. მისთვის არც ისაა ცნობილი, რატომ ეწოდება ამ ნაწილს ქალის სახელი. ასევე გაუგებარია მისთვის ნილოსი და ფაზისი კოლხეთში რატომ არის ევროპის საზღვარი [4, 298].

როგორც ჩანს, **ჰეროდოტესთვის** ევროპის საზღვრები ბოლომდე დაუდგენელი და გაურკვეველია, თუმცა აშკარაა, რომ ამ დროისთვის უკვე არსებობს გარკვეული წარმოდგენა ამ გეოგრაფიული ერთეულის მიმართ და მისი ტერიტორიული კონტურებიც მეტნაკლებად გამოკვეთილია.

კიდევ ერთი ძველი ბერძენი ისტორიკოსი **თუკიდიდე** აღწერს ოდ-

რისების სამეფოს და აღნიშნავს, რომ „მართლაც ევროპის სახელმწიფოებს შორის იონიისა და პონტოს ექსინოსის (ბერძ. Πόντος Εὔξενος) ზღვებს შორის მცხოვრებ ხალხს სიმდიდრით ვერავინ შეედრება... რაც შეეხება სამხედრო ძალას და ჯარების ძლიერებას, ევროპელები და აზიელები სკვითების სამეფოს ძალიან ჩამორჩებიან ... [5, 198].

ევროპა მოხსენიებულია, ასევე **არისტოტელეს ტრაქტატში „პოლიტიკა“**, სადაც ის წერს, რომ ელინები დასახლებულნი არიან ჩრდილოეთ ევროპასა და აზიას შორის; გარდა ამისა ჩრდილოეთ ევროპის მოსახლეობა ვაჟკაცობით ჯობია აზიელებს, მაგრამ ჩამორჩებიან ინტელექტით [6, 314].

ისოკრატე თავის ნაშრომში „პანეგირიკი“ მოუწოდებდა ბერძნებს გაერთიანებისკენ, რათა არ შემოეშვათ ბარბაროსები ევროპაში.

ცნობილი ისტორიკოსი **პოლიბიოსი** თავის ნაშრომში „საყოველთაო ისტორია“ ევროპისა და აზიის საზღვრად უთითებს მდინარე ტანაისს (მდინარე რუსეთის ფედერაციაში და უკრაინაში, მდინარე დონის მარჯვენა შენაკადი). აღნიშნული ისტორიკოსი მოხსენებული ჰყავს სტრაბონს თავის „გეოგრაფიაში“, სადაც ის წერს: „როდესაც პოლიბიუსი გვაუწყებს, რომ ევროპა სიდიდით ნაკლებია ლივიასა და აზიაზე ერთად აღებულზე, აკეთებს არასწორ დასკვნას ...“ [7, 20].

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ ბევრჯერ მოიხსენიება ევროპა, ერთგან ის წერს „აკი ალექსანდრემ გახსნა ჩვენთვის, როგორც გეოგრაფებისთვის, აზიის დიდი ნაწილი და ევროპის ჩრდილოეთი მდინარე ისტრამდე, ხოლო რომაელებმა ევროპის მთელი დასავლეთი ნაწილი მდინარე ალბისამდე (რომელიც გერმანიას ორ ნაწილად ყოფს) და ისტრის ოლქი მდინარე ტირასამდე [7, 109].

სტრაბონი ახსენებს ეფორის ტრაქტატს „ევროპის შესახებ“ [7, 41], მართალია, ამ შემთხვევაში უშუალოდ ევროპის შესახებ რაიმე ცნობა არ არის წარმოდგენილი, მაგრამ აშკარაა, რომ ეს ნაშრომი მრავალ ცნობას შეიცავდა ევროპის შესახებ (აღნიშნული ტრაქტატი ეფორის „საბერძნეთის საყოველთაო ისტორიის“ ბერძ. Ἱστοριαὶ κοινῶν πράξεων). 30 წიგნის IV წიგნს შეადგენდა. ნაწარმოები მეოთხე საუკუნეს ეკუთვნის. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა.

სტრაბონი ასევე იშველიებს ცნობილ ბერძენ მეცნიერს, ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს **ერატოსთენეს** (276-194 ძვ. წ.),

რომელიც ასევე განიხილავს ევროპის საკითხს [7, 70]. სტრაბონი ერთგან არ ეთანხმება მას, იმის შესახებ, რომ თითქოს ევროპა სამი კონცხისგან შედგება, რადგან მიაჩნდა, რომ მას მრავალი განშტოება ჰქონდა [7, 90].

„ევროპა გამოიყოფა მრავალი კონცხით, რომელიც ქმნის ნახევარკუნძულს და მისი აღწერა **პოლიბიოსს ერატოსთენზე** უკეთესი აქვს, თუმცა ის მაინც არასაკმარისია" [7, 110] – ამბობს სტრაბონი.

სტრაბონი ერთგან მდინარე ევროპასაც ახსენებს, და წერს, რომ მდინარე ევროპის სათავეები იწყება ტიტარინის მთებში, რომელიც აკრავს ოლიმპს [7, 309].

სტრაბონს დედამიწა დაყოფილი ჰქონდა სამ ნაწილად-ევროპა, აზია და ლივია. საზღვარი კი იყო მდინარეები ტანაისი და ნილოსი. სტრაბონის ეს დედამიწისეული დაყოფა აბსოლუტურად ემთხვევა ჰეროდოტეს აღწერილობას. ხოლო ევროპა, სტრაბონის მიხედვით, მოიცავდა აზოვის ზღვასა და მდინარე დონს, ტერიტორიებს პირინეის ნახევარკუნძულსა და რეინს შორის, ბრეტანს, იბერიასა და კელტიას [7, 20]. სკანდინავია და ბალტიისპირეთი, როგორც ჩანს, უცნობი იყო, როგორც სტრაბონისთვის, ისე მისი წინამორბედებისთვისაც, რადგან, როგორც ავღნიშნეთ, სტრაბონი უფრო ადრინდელ ავტორთა, განსაკუთრებით, ჰეროდოტესეულ ინფორმაციას ეყრდნობა.

ამდენად, სტრაბონი მრავალ ავტორს უხმობს თავის გეოგრაფიაში და, როგორც ჩანს, მანამდე ევროპას არა ერთი ავტორი იცნობს, რაც იმას ნიშნავს, რომ გეოგრაფიულ ჭრილში ამ დროისთვის ეს ტერმინი უკვე საკმაო ხნის დამკვიდრებულია.

როგორც ვხედავთ, დასახელებულ წყაროებში ევროპა ერთიანი ორგანიზმი არაა, მას ძირითადად გეოგრაფიული დატვირთვა აქვს, თუმცა თუ ევროპეს მოტაცებასა და აქედან გამომდინარე ფინიკიელებსა და ბერძნებს შორის არსებულ დაპირისპირებას გავითვალისწინებთ, რომელიც მთელი ისტორიის მანძილზე გრძელდება, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასში კულტურულ-პოლიტიკური ასპექტებიც შეინიშნება.

რაც შეეხება, უშუალოდ, ევროპულ ღირებულებებს, მსგავსად სხვა ღირებულებებისა, საზოგადოებრივი ცნობიერების მრავალ სფეროს მოიცავს. ღირებულებითი ორიენტირები, რომელიც დამახასიათებელია გარკვეული სოციუმისთვის, ქმნის ერთიან სისტემას და აქვს თავისი შინაგანი ლოგიკა, რომლის პრიორიტეტებიც იცვლება ეპოქალურად, სხვადასხვა იმპერატივებთან შეჯახებისას. დროთა განმავ-

ლობაში ხდება ამ ღირებულებების ევოლუცია და დღის წესრიგში დგება ამა თუ იმ ცივილიზაციისადმი კუთვნილების განსაზღვრა. შესაბამისად, ევროპული იდენტობაც ცვალებადია დროსა და სივრცეში, რომელიც სხვადასხვა პერიოდში წარმოქმნილ ღირებულებათა ერთობლიობაა.

ვინაიდან, ჩვენს მიზანს უშუალოდ ევროპული იდენტობის კვლევა არ წარმოადგენს, დავჯერდებით მხოლოდ ამ სფეროში არსებულ წყაროებსა და ლიტერატურას.

ქართველი ფილოსოფოსის **მერაბ მამარდაშვილის** მსჯელობის თანახმად „ევროპული იდენტობა ორი ელემენტის: ბერძნულ-რომაული სამყაროს სამოქალაქო იდეისა და ქრისტიანობის, კერძოდ, სახარების იდეის სინთეზს წარმოადგენს“ [8].

პოლ ვალერი ევროპული იდენტობის განუყოფელ კომპონენტებად რომაულ კანონმდებლობას, ქრისტიანულ რწმენასა და ბერძნების კრიტიკულ სულს მოიაზრებდა [9].

კრისტიან მეიერის აზრით კი, ძველმა ბერძნებმა ევროპას თავისუფლება უანდერძეს, რაც ევროპული იდენტობის მთავარ კულტურულ მახასიათებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს. ბერძნების პოლიტიკური კულტურა ძველი სამყაროს სხვა პოლიტიკური ტრადიციებისგან განსხვავდებოდა იმით, რომ ის პიროვნების თავისუფლებას ეფუძნებოდა [10].

ანტონი პაგდენი ევროპის იდენტობის მთავარ კომპონენტებს – კანონის უზენაესობას, შეჯიბრებითობას, ქალაქის ფაქტორს (ანუ კავშირს ცხოვრების ურბანულ წესსა და ცივილიზირებულობას შორის), სწრაფვას ერთიანი კანონმდებლობისკენ, საკუთრების ფლობას, მეცნიერებას, ცოდნას – ანტიკურობაში მოიაზრებს [11].

რაც შეეხება ევროპის იდენტურობის ათვლის წერტილს, მეცნიერთა ნაწილის აზრით, ანტიკური პერიოდიდან იღებს სათავეს.

ევროპის იდეის მეცნიერული კვლევის ერთ-ერთი ფუძემდებელი – იტალიელი მეცნიერი **ფ. კაბოდი** ევროპული იდენტობის საფუძველს ანტიკურ პერიოდში ხედავს, კერძოდ, ბერძენთა თავისუფლებისა და აზიური დესპოტიზმის ურთიერთდაპირისპრების სოკრატისეულ ხედვაში.

დენის დე რუჟმონი, ევროპის იდეის/იდენტურობის აღმოცენებაში ანტიკურობას დიდ როლს ანიჭებდა. მისი აზრით, ბერძნული ცივილიზაცია რეფლექსირებულია ევროპელთა ცნობიერებაში. ამასთან, მეც-

ნიერი ევროპის იდეის შექმნაში გადამწყვეტ როლს ფრანკების იმპერიას (VII-VIII სს.), კერძოდ კი, კარლოს დიდს მიაკუთვნებდა.

ჟაკ ლე გოფს მიიჩნდა, რომ ევროპა, როგორც რეალობა, XI-XIII საუკუნეებში გაჩნდა, როდესაც ევროპას ქრისტიანობის ფართო ტალღამ გადაუარა. ის ანტიკურობასაც უთმობს ყურადღებას და თვლის, რომ საკუთარი იდენტობის გარკვეული ნაწილი ევროპამ ამ ცივილიზაციიდანაც მიიღო.

კრისტიან მეიერი, აიგივებს რა ბერძნებს ევროპასთან, სპარსეთს კი – აღმოსავლეთთან, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ევროპის აღმოსავლეთთან დაპირისპირებას.

ავტორი ასკვნის, რომ ევროპის, როგორც კულტურული სივრცის იდენტობა, საკმაოდ შორეულ წარსულს, ანტიკურ პერიოდს უკავშირდება.

ამდენად, მეცნერთა, მწერალთა და ფილოსოფოსთა საკმაოდ დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ევროპული იდენტობის საფუძვლები ანტიკური ცივილიზაციის წიაღში წარმოიშვა. ხოლო ევროპის კულტურული მემკვიდრეობის ქვაკუთხედებად ტრადიციულად მოაზრებული იყო: გონება სამართლიანობა და მოწყალება [9].

მიუხედავად ზემოთქმულისა, ევროპის როგორც კულტურული სივრცის იდენტობა, საკმაოდ შორეულ წარსულს უკავშირდება და შესაძლებელია, ეს ანტიკურობასაც სცილდება. ვინაიდან, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ღირებულებითი ორიენტირების პრიორიტეტები, თავისი შინაგანი ლოგიკიდან გამომდინარე, იცვლება ეპოქალურად, სხვადასხვა იმპერატივებთან შეჯახებისას, შესაბამისად, ევროპული იდენტობის ჩამოყალიბება, შესწავლილ უნდა იქნას არა მხოლოდ სინქრონულ, არამედ დიაქრონულ ჭრილშიც.

აქედან გამომდინარე, ურიგო არ იქნებოდა ანტიკური ეპოქის კულტურული იდენტობის კვლევისთვის იმის გარკვევა, თუ რომელი კულტურული კომპონენტები ედო საფუძვლად მას ისტორიის ადრინდელ ეტაპზე. აქ კი ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლით იმ ხალხებს, რომლებიც უხსოვარი დროიდან მონაწილეობდნენ ხმელთაშუა ზღვის აუზში მიმდინარე პროცესებში, რომლებთანაც ბერძნებს ჰქონდათ შეხება და რომლებიც ჯერ კიდევ მათ მოსვლამდე ბინადრობდნენ ამ ტერიატორიაზე. ნიშანდობლივია, რომ სხვებთან ერთად აქ იყვნენ ქართველური ტომებიც. ქართულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში ამის, შესახებ არაერთი საინტერესო დოკუმენტი მოიპოვება.

ამ მხრივ განსაკუთრეით საინტერესოა **ჰეროდოტეს ცნობები,** რო-

მელიც ეგეოსის ავტოქტონებად მოიაზრებს პელასგებს, ამასვე ადასტურებს თუკიდიდე. ამავე აზრის არიან სხვა ბერძენი და რომაელი ავტორებიც, მათ შორის სტრაბონი, სტეფანე ბიზანტიელი, რომელიც იმოწმებს ნიკოლოზ დამასკელს, რომლის მიხედვით ელადის სხვადასხვა მხარეთა აბორგენები პელასგები არიან [16, 110].

ევროპელი მეცნიერები **კრეჩმერი, ბლუმენბახი** ისევე, როგორც ქართველი მეცნიერები, თვლიდნენ რომ პროტოქართველები ეთნიკურად, ლინგვისტურად და კულტურულად უკავშირდებიან ევროპელ აბორიგენებს – პრე-ინდოევროპელებს, პრე-არიელებს, პრე-კელტებს, მათ შორის, ეტრუსკებს, პელასგებსა და პროტო-ბასკებს... ძველი ბერძნები და რომაელები ევროპის ამ უპირველეს მცხოვრებლებს ეძახდნენ იბერიელებს [12, 9].

ქართველთა ეთნოგენეზისზე საუბრობს საქართველოს პირველი პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია** ნაშრომში **„საქართველოს სულიერი მისია“,** სადაც მას დამოწმებული ჰყავს არაერთი ქართველი და უცხოელი მეცნიერი.

პირველ რიგში ის იშველიებს **ვილჰელმ ჰუმბოლდტს**, რომლის აზრით, სამხრეთ ევროპის: პირინეების, იტალიის, ხმელთაშუა ზღვის კუნძულების პირველადი ავტოქტონური მოსახლეობა იყო იბერიული. ამ მოსახლეობას უწოდებენ პროტოიბერებს, მათგან მომდინარეობს გვიანდელი ევროპული მოსახლეობა, რომელიც სახლობდა პირინეების ნახევარკუნძულიდან ხმელთაშუა ზღვის აუზში, ბალკანებზე, თანამედროვე საბერძნეთში, კავკასიაში, აგრეთვე, მცირე აზიასა და პალესტინაში. ეს არის გავრცელების არეალი იმ პროტოიბერიული მოდგმისა, რომელსაც ვილჰელმ ჰუმბოლდტის გამოკვლევების მიხედვით ჰქონდა მრავალი განშტოება [14, 193].

გერმანელი **ფილოსოფოსი შელინგი** პელაზგურ ეპოქას საბერძნეთის განვითარებაში განმარტავდა როგორც საიზმს, ე. ი. ნათელხილვითი სიბრძნის ეპოქას. შემდგომდროინდელ ბერძნულ მითოლოგიაში პერსევსმა და სხვა გმირებმა ნათელხილველური, პელაზგური კულტურა გადაიყვანეს აზროვნებით კულტურაზე, კერძოდ, ინტელექტისმიერ ელინურ კულტურაზე [14, 193].

ფურნიეს, რომელსაც ეკუთვნის მნიშვნელოვანი გამოკვლევა წინაბერძნულის, ანუ პელაზგურის და ქართველურის შესახებ მიაჩნდა, რომ ტროა უფრო ძველი კულტურული სამყაროა, ვიდრე ელინური სამყარო. ელინები ტროაში ლაშქრობენ საკრალური, მისტერიული სიბრძნისა, ანუ პალადიუმის მოპოვებისათვის. ტროა არის იგივე

კოლხური სამყარო, ვინაიდან ტროელებთან აქაელების დავის დროს ტროელები ხსნიან ელენეს მოტაცებას, როგორც ერთგვარ შურისძიებას ადრე მათ მიერ მედეას მოტაცებისათვის [14, 195].

რაც შეეხება ძველ ბერძნულ მითებს, გამსახურდიას მიაჩნია, რომ ის შექმნილია პელაზგების მიერ და ელინების მიერ არის ინტერპრეტირებული. ჰომეროსი და ჰესიოდე არ არიან შემოქმედნი ძველბერძნული მითებისა, ისინი პელაზგური ეპოქის მითოსის სისტემატიზატორებია, განმმარტებელნი. პელაზგური ეპოქის მითოსის შემოქმედთა, მითოგრაფოსთა სახელებმა ჩვენამდე არ მოაღწია, მაგრამ მოაღწიეს ღვთაებებმა, მითოსის პერსონაჟებმა. ძირითადი ღვთაებები ძველბერძნული პანთეონისა წარმოშობით პელაზგურნი არიან. მათ შორისაა ზევსი. არსებობს პელაზგური ქტონური ზევსი, რომლის კულტიც მუხასთან არის დაკავშირებული; ჰერა ანუ ჰაერა, რომელიც არის უძველესი პელაზგურ-იბერიული ქალღმერთი; აგრეთვე დემეტრე, რომლის ფუძის განმარტებისას აკადემიკოსი **ივანე ჯავახიშვილი** მიანიშნებდა იმაზე, რომ „დე“ ფუძე სავსებით უცხოა ძველბერძნული ენისათვის. „მეტერ“ მართალია დედას ნიშნავს, მაგრამ „დე“ არის სუფთა იბერიული წარმოშობის ფუძე, „დე“, ანუ „დედა“, დედა-ქალღმერთის აღმნიშვნელი. ამრიგად დემეტრე არის ის სახე, რომელიც უძველესი კოლხური, პელაზგური დედა-ქალღმერთის აღმნიშვნელია. ამრიგად დემეტრე არის ის სახე, რომელშიც უძველესი კოლხური, პელაზგური დედა-ქალღმერთი შეერწყა ძველბერძნულ ქალღმერთს. ეს არის ძველბერძნული პანთეონი, თუ შეიძლება ითქვას, დამყნობილი პროტოქართულ, პროტოიბერიულ, ანუ პელაზგურ პანთეონზე [14, 197].

პრომეთეს მითი გამსახურდიას აზრით, უმნიშვნელოვანესია, როგორც კაცობრიობის ევოლუციის, ისე ქართველთა ეთნოგენეზისის თვალსაზრისითაც, ვინაიდან ბერძნული მითოსის ეს უმთავრესი მომენტები შემთხვევით არ არის კავკასიასთან დაკავშირებული. „პრომეთელ“ ძველბერძნულად ნიშნავს წინასწარმეტყველურ აზროვნებას, წინასწარგანჭვრეტას, ეპიმეთე – მისი ძმა – ნიშნავს თანადროულ, განსჯისმიერ აზროვნებას. რა არის პრომეთე? პრომეთე არის იმ კაცობრიობის წარმომადგენელი, რომელმაც უნდა განავითაროს წინასწარმეტყველური, ანუ ინტუიტიური აზროვნება, ხოლო ეპიმეთე – რომელმაც უნდა განავითაროს განსჯითი, ანუ ინტელექტუალური აზროვნება. ვისი ძეა პრომეთე? იგი არის ძე იაპეტოსისა [14, 197].

ნიკო მარის ვერსიით კი, ქართული ტომი იყო ნოეს ვაჟის, იაფეტის შთამომავალი და წარმოადგენს ევროპაში იბერიის ინდიგენურ მოსახლეობას, რომელიც მოგვიანებით შეუერთდა კელტებს. ამის შედეგად კელტ-იბერიელები გახდნენ და მოგვიანებით გაერთიანდნენ გოთებთან, გერმანულ ტომებთან [12, 9].

რაც შეეხება მითს არგონავტების ლაშქრობის შესახებ, ძველბერძნულ მისტერიებში გადმოცემული იყო, როგორც ოქროს საწმისის ძიება. ხოლო ოქროს საწმისი იყო კოლხეთში. თავდაპირველად ოქროს ვერძი საბერძნეთიდან არის წასული კოლხეთში, მიაჩნია გამსახურდიას და ასკვნის, რომ ეს იმ პერიოდის საბერძნეთია, როდესაც იქ ყვავის პელაზგური კულტურა, კერძოდ, პელაზგური არგოსის კულტურა. შემთხვევითი არ არის, რომ ხომალდსაც „არგო" ჰქვია და „არგო" თავისი ძირით კოლხეთიდან მომდინარეობს – არგო, არგვეთი, ეგრისი, „გრ" – ფუძე. ლაშქრობა კოლხეთში სიმბოლურად, იმაგინატიურად არის ლაშქრობა სულიერი სიბრძნის, მისტერიალური სიბრძნის მოსაპოვებლად, რომელიც იმჟამად შემონახული იყო მხოლოდ კოლხეთში და აღარ არსებობდა უკვე საბერძნეთის ტერიტორიაზე, აღარც ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში. ისევე როგორც თეზეოსის კრეტაზე წასვლა არის აგრეთვე იმ სიბრძნის მოპოვება, რომელიც ელინურ საბერძნეთში იმჟამად აღარ არსებობდა [14, 202].

ამდენად, გამსახურდიას მიხედვით, კოლხური, პელაზგური, ტროული, მინოსური სამყაროები მონათესავე სამყაროებია, უფრო სწორად, ერთი სამყაროა და ამის არგუმენტად (მოყოლებული ჰომეროსიდან თანამედროვეობის ჩათვლით) მრავალი ავტორის ნაშრომს იშველიებს.

საინტერესოა ამ მხრივ **რისმაგ გორდეზიანის** ნაშრომები. ერთგან ის უთითებს, რომ „ჩვენს ქვეყანაში საერთო ევროპული მემკვიდრეობისაკენ ლტოლვას, ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ასაზრდოებს. ჩვენი ქვეყანა უხსოვარი დროიდან მონაწილეობდა ხმელთაშუა ზღვის აუზში მიმდინარე პროცესებში. როგორც ირკვევა, ქართველურ ტომებს, შესაძლოა, გენეტიკური ურთიერთობები ჰქონდათ წინაბერძნული ცივილიზაციის მატარებელ ხალხებთან (პელასგებთან, ლელეგებთან, მინოსელებთან და ა. შ.), ასევე იტალიის უძველეს მოსახლეობასთან, ეტრუსკებთან. მიკენური ეპოქიდან მოყოლებული, როგორც ჩანს, სათავეს იღებს ბერძნულ-ქართული ურთიერთობების მრავალსაუკუნოვანი ისტორია. ამან თავისი არეკვლა ჰპოვა ელინთა

მითებში პრომეთესა და არგონავტთა ლაშქრობაზე. ძველი კოლხიდა იქცა საბერძნეთის გარეთ მდებარე ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ქვეყნად, სადაც არგონავტიკის ციკლის მითთა სიუჟეტი ვითარდებოდა. მედეამ, აიეტმა, კირკემ, აფსირტოსმა და სხვა კოლხმა მითოლოგიურმა პერსონაჟებმა მყარად დაიკავეს ადგილი ბერძნულ მწერლობაში.

უფრო მეტიც, თანამედროვე მკვლევართა გამოთვლებით, მედეა საერთოდ მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე უფრო პოპულარულ სახედ იქცა, რომელსაც დღემდე უამრავი ნაწარმოები ეძღვნება... მრავალრიცხოვანი ქართველური ტომები, გეოგრაფიული პუნქტები საკმაოდ ხშირად ფიგურირებენ, როგორც მხატვრულ ლიტერატურაში, ასევე ანტიკურ ისტორიოგრაფიასა და სამეცნიერო ხასიათის თხზულებებში. შეიძლება ითქვას, რომ ბერძნული და რომაული წყაროები ანტიკური საქართველოს შესახებ უმთავრეს წერილობით წყაროდ მიიჩნევა და არქეოლოგიურ მონაცემებთან ერთად ჩვენი ქვეყნის უძველესი ისტორიის აღდგენის შესაძლებლობას იძლევა. ამან განაპირობა ის, რომ ანტიკური ლიტერატურის ძეგლები... ჩვენი ქვეყნის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი ტექსტებია" [13, 8].

ძველ ბერძენ და რომაელ ავტორებთან, რომლებიც თავის მხრივ უძველეს გადმოცემებს ეყრდნობოდნენ, ხშირად ვხვდებით არაპირდაპირ მითითებებს პელასგებისა და კავკასიური ტომების იდენტურობის შესახებ. პალასგი თესალიელები, მცირეაზიელი ტროელები, კუნძულ ლემნოსის მკვიდრი პელასგი სინტები და სხვები კოლხთა მონათესავე ტომებადაა მიჩნეული [16, 121].

ამდენად, მცირე აზია, კუნძული კრეტა და ხმელთაშუა ზღვის მრავალი პუნქტი წინაელინური-პელასგური მოსახლეობის სამკვიდრებელი იყო. კრეტის უძველეს ე. წ. „მინოსურ მოსახლეობაში" კოლხურ ტომებს დიდი ადგილი უნდა სჭეროდათ [15, 192] და ამ მოდგმის ხალხებმა წინა აზიის ვრცელ ტერიტორიაზე და სამხრეთ ევროპაში დიდი კულტურული ცენტრები შექმნეს [16, 111].

რაც შეეხება პელასგთა ეთნოგენეზისის საკითხს, მეცნიერთა შეხედულებები განსხვავებულია. ნაწილი მიიჩნევს, რომ მათი წარმომავლობა არაინდოევროპულია, ნაწილი კი – პირიქით. თავად კნოსის (კრეტის) არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელი ევანსი ამბობდა, რომ მინოსური დამწერლობის სამივე, ხატოვანი (ჰიეროგრაფიული), A და B ხაზოვანი, კრეტის უძველესი მკვიდრების მიერ არის შექ-

მნილი და ამ დამწერლობის ენა არაა ინდოევროპული და, მაშასადამე, ბერძნული. ამასვე მტკიცებს კრეტის B ხაზოვანი დამწერლობის ვენტრისისა და ჩედვიკისეული გაშიფვრაც [16, 121].

ხოლო სხვა მეცნიერები და მათ შორის ვ. გეორგიევი პელასგებს წმინდა ინდოევროპელ ტომად, ბერძნების უშუალო წინაპრებად მიიჩნევს [16, 118].

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მეცნიერთა გარკვეული ნაწილის აზრით, ხმელთაშუა ზღვის კულტურა, ცნობილი ელინური კულტურის სახელით, აღმოცენებული არის წინაელინური-პელასგურ-ანატოლიური კულტურის ბაზაზე [16, 112].

რაც შეეხება ანტიკურ პერიოდს, ამ დროისთვის ქართულ-ბერძნული ურთიერთობები ინტენსიური ხდება, განსაკუთრებით ე. წ. დიდი ბერძნული ახალშენების დაარსებიდან (ძვ. წ-ის VIII-VI სს.).

ძვ. წ-ის VI ს-დან ბერძნებმა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე არაერთი ახალშენი დააარსეს. მაგალითად ფაზისი (ქალაქ ფოთთან), გიენოსი (ქალაქ ოჩამჩირესთან), დიოსკურია (ქალაქ სოხუმთან), პიტიუნტი (ქალაქ ბიჭვინთასთან). ახალშენების დაწინაურებას ხელს უწყობდა „დიდი აბრეშუმის" სავაჭრო გზა, რომელიც იწყებოდა ინდოეთიდან შავ ზღვამდე, ქალაქ ფაზისამდე და აქედან უკვე ბერძნული სამყაროსკენ მიემართებოდა.

ბერძნები კოლხეთთან ძირითადად სავაჭრო ურთიერთობებით იყვნენ დაკავებულნი. საბერძნეთიდან შემოჰქონდათ ქსოვილები, სამკაული, ჭურჭელი და ფუფუნების სხვა საგნები. შემოჰქონდათ ასევე ზეთი. საქართველოდან გაჰქონდათ სელი და სელის ნაწარმი, ბეწვეული, ტყავი, აგრეთვე ხის ძვირფასი ჯიშები, ოქრო და რკინა.

ბერძნული ახალშენების დაარსებამ უცილობლად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შავი ზღვისპირეთის მოსახლეობის ანტიკურ სამყაროსთან კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობის გაცხოველებაში და საერთოდაც, ხელი შეუწყო ამ ადგილებში სავაჭრო-ეკონომიური ცხოვრების დაწინაურებას და გარკვეულად დააჩქარა სოციალურ-ეკონომიური განვითარების პროცესი ადგილობრივ მოსახლეობაში [17, 276].

კოლხეთი, როგორც ჩანს, ძვ. წ-ის VI-IV საუკუნეებში კარგად განვითარებული ქვეყანაა. მაღალ დონეს მიაღწია რკინის დამუშავებამ. მრავლად აღმოჩენილი ქვევრები მიუთითებს მევენახეობა-მეღვინეობის დაწინაურებაზე. განვითარების უაღრესად მაღალ საფეხურზე

იდგა ოქრომჭედლობა. კოლხეთის მაღალგანვითარებულობაზე მიუთითებს ადგილობრივი ფულის არსებობა. ძვ.წ-ის VI-III საუკუნეებში კოლხეთში იჭრებოდა ვერცხლის ფული, რომელსაც „კოლხური თეთრი“ ეწოდა. კოლხური თეთრი აღმოჩენილია საქართველოს ფარგლებს გარეთაც (ყირიმში, ტრაპიზონის მახლობლად, შუა აზიაში – ფერღანის ველზე), რაც მიუთითებს მის გამოყენებაზე საერთაშორისო ვაჭრობაშიც.

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრები ქართული ტომების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული ქსენოფონტეს „ანაბაზისში“. ქსენოფონტე წერს, რომ „ამ დროს იქ მეფობდა აიეტის ჩამომავალი“.

ამრიგად, კოლხეთის, ანუ ეგრისის, სამეფო წარმოადგენდა პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაწინაურებულ, განვითარებული კულტურის მქონე სახელმწიფოს, რომელსაც აქტიური ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა იმდროინდელ ცივილიზებულ სამყაროსთან და განსაკუთრებით საბერძნეთთან.

ახალშენების დაარსებას ხმელთაშუა ზღვის ელინიზაცია მოჰყვა და მისი გავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე რელიგიური, კულტურული, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით დიდი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ანტიკურ სამყაროსთან ურთიერთობების პირველ ეტაპზე მხოლოდ კოლხეთი იყო ჩართული, ხოლო მოგვიანებით მას იბერიაც შეუერთდა, უნდა ითქვას, რომ ეს ურთიერთკავშირი ორგანული იყო და გაუცხოებისა და დაპირისპირების გარეშე მიმდინარეობდა, რაც ღრმა ისტორიული მეხსიერებითა და მრავალსაუკუნოვანი თანაარსებობით უნდა ყოფილიყო განპირობებული. აქედან გამომდინარე, აზია-ევროპის გზაგასაყარზე მყოფი ქვეყნის ევროპული ორიენტაციაც ბუნებრივად გამოიყურება.

ამდენად, საქართველოსთვის, ანტიკურ სამყაროსთან მრავალმხრივი ურთიერთობების გარდა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანობის მიღებასაც, რასაც აზიური სამყაროსგან საქართველოს საბოლოო ცივილიზაციური გამიჯვნა მოჰყვა. ეს იყო გადამწყვეტი ეტაპი ქართული სახელმწიფოს ისტორიაში და მან საბოლოოდ განსაზღვრა ქვეყნის ევროპული იდენტობა. ეს გადაწყვეტილება იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მიუხედავად გარეშე მტრების მიერ საქართველოს მრავალგზის დაპყრობისა, ევროპასთან ურთიერთობების წყვეტილობისა, ქვეყანამ საკუთარი თვითმყოფადობა და სახელმწიფოებრიობა დღემდე შეინარჩუნა.

და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ ქართველური ტომები უხსოვარი დროიდან მონაწილეობდნენ ხმელთაშუა ზღვის აუზში მიმდინარე პროცესებში, საქართველოს ევროპული ორიენტაციის გენეზისი ანტიკური პერიოდიდან უნდა დაიწყოს, ვინაიდან ამ ეტაპზე მიჩნეულია, რომ თანამედროვე ევროპული ღირებულებები სწორედ დროის ამ მონაკვეთიდან იღებს სათავეს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Mikkeli H., Europe as an Idea and an Identity, Basingstoke, Palgrave Publishers, 1998.
2. ჰომეროსი, ილიადა, თბილისი, 1979.
3. ჰეროდოტე, ისტორია, წიგნი I, თბილისი, 2008.
4. Геродот, История в девяти книгах, Москва, 1972.
5. Фукидид, История, Москва, 1981.
6. Аристотель, Политика, Москва, 1911.
7. Страбон, География, Ленинград, 1967.
8. ჩიქოვანი გ., ევროპული იდენტობა, კონრად ადენაუერის სახელობის ფონდის პუბლიცისტური წერილების კრებული, თბილისი, 2014.
9. ნადარეიშვილი ქ. ჭეიშვილი თ., ევროპული იდენტობა ანტიკურ კონტექსტში, კონფერენციის „ევროპული ღირებულებები და იდენტობა" მასალები, თბილისი, 2014.
10. Meier Chr., A Culture of Freedom: Ancient Greece and the Origins of Europe, New York, 2012.
11. Pagden A., Europe: Conceptualizing a Continent, 33 in: Pagden A. (ed.), The Idea of Europe from Antiquity to the European Union", Cambridge, 2002.
12. ანჩაბაძე ზ., ევროპული საქართველო, თბილისი, 2015.
13. გორდეზიანი რ., ტონია ნ., ანტიკური ლიტერატურა საუნივერსიტეტო კურსი. თბილისი, 2007.
14. გამსახურდია ზ., წერილები ესსეები, საქართველოს სულიერი მისია, თბილისი, 1991.
15. ჯანაშია ს., ხეთების ისტორიისა და ენის საკითხისთვის, შრომები. ტ. III, თბილისი, 1959.

16. ურუშაძე ა., ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბილისი, 1964.
17. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბილისი, 1970.

Emzar Pazhava
Doctor in Social Science, Associate professor of the Technical University of Georgia

The article is published in the framework of the project – „European Orientation Genesis of Georgia", funded by Shota Rustaveli Georgian National Science Fund. (Grant treaty № YS-18-200).

European Orientation Genesis of Georgia

Summary

In the article, the European orientation genesis of Georgia, etymology of the word „Europe" and its usage in the works of different authors, the views of the respectable Georgian and foreign authors towards the European values are reviewed. Besides, the relationships of the Kartvelian tribes with the Greek world both – in ancient and pre-antique (Crete-Mycenaean or Aegean culture) period and their role in the formation of Greek civilization are considered.

According to the work, the ancient period is considered as a genesis of the European orientation of Georgia, though the Kartvelian tribes actively participated in the formation of the Greek culture from the Crete-Mycenaean period. Correspondingly, since the ancient period Georgian ancestry people represent the recipient of the European culture, whereas in the pre-antique period, they are regarded as the donor of the Greek culture, together with other peoples. In spite of these viewpoints are based upon the works of different Georgian and foreign scientists, the complete answer to the question should be given after the thorough study of new archeological materials and Minoan script.